საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 27 სექტემბრის
დადგენილება № 529

სტუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა
და მობილობის ინსტრუქციაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეიცვალოს სტუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში პუნქტი 7.4 და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:
7.4. სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირი სტატუსის აღდგენისას, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი; სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სტატუსშეჩერებულმა პირმა, სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, სწავლა შეიძლება გააგრძელოს განსხვავებული სემესტრიდან, „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით“ დადგენილი დამატებითი სემესტრების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე